ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4841798

ნომერი: AR1730259

თარიღი : 23.01.2020

გაცემის თარიღი : 30.01.2020

გაცნობის თარიღი : 07.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვანი , N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნონა ლაცაბიძე პ/ნ 57001049105
- თბილისი მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზ. N 5 ბ. 34

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 23 იანვარს №AR1730259 განცხადებით მომართა ნონა ლაცაბიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 15

იანვრის №3775282 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ქუჩა ვანი N4, N01.13.06.006.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2018 წლის 22 აგვისტოს N4132116 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 22 აგვისტოდან 2020 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ცვლილების შეტანას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირებულია 879.47 კვ.მ ნაცვლად 877.61 კვ.მ-ისა, შესაბამისად საერთო ფართობად 10844.37 კვ.მ ნაცვლად 10842.51 კვ.მ-ისა.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანებაში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 879.47 კვ.მ-ის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 877.61 კვ.მ, შესაბამისად საერთო ფართობად 10844.37 კვ.მ-ის ნაცვლად 10842.51 კვ.მ.
საჯარო რეესტრი ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: N892018670249, მომზადების თარიღი: 02/08/2018) თანახმად, N01.13.06.006.064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „სამშენებლო კომპანია თბილისის ვექტორი“ (N406250186). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18074266, 12/07/2018) თანახმად შპს „სამშენებლო კომპანია თბილისის ვექტორი“-ს (N406250186) დირექტორს წარმოადგენს ნონა ლაცაბიძე (პირადი: N57001049105).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანებაში და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 877.61 კვ.მ, შესაბამისად საერთო ფართობად 10842.51 კვ.მ.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის №3775282 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.